იუნიბაკენი

შენი აზრით, როგორი შეიძლება იყოს ზღაპრის მუზეუმი? წაიკითხე ტექსტი და გაიგე, რით არის გამორჩეული ერთ-ერთი ასეთი მუზეუმი შვედეთში.

იუნიბაკენი ზღაპრის მუზეუმს ჰქვია შვედეთში. გაიხსნა 1996 წლის 8 ივნისს სტოკჰოლმის **ცენტრში**. იგი შვედ საბავშვო მწერლებს, უფრო კი ასტრიდ ლინდგრენს, ეძღვნება. სწორედ ამიტომ დგას მწერლის ძეგლი ეზოში საპატიო ადგილას, მუზეუმის წინ.

მუზეუმის **ემბლემა** პატარა გოგონაა ქოლგით ხელში. ეს მადიკენია – ასტრიდის ერთ-ერთი წიგნის გმირი იუნიბაკენიდან. მუზეუმსაც ამიტომ უწოდეს იუნიბაკენი.

მუზეუმი ჰგავს ქალაქის მოედანს, სადაც ხის პატარა სახლები დგას. აქ შეგიძლია გაეცნო შვედი ავტორების წიგნების გმირებს. თუმცა ასტრიდის სახლს მოედანზე ვერ იპოვი. ამისათვის ჯერ სადგურში უნდა მიხვიდე. იგი ვიმერბიუს რკინიგზის სადგურის **მაკეტია.** ვიმერბიუ პატარა ქალაქია, სადაც ასტრიდი გაიზარდა. სადგურზე ვაგონი გელოდება. ჩაჯდები შიგ და ის მწერლის ზღაპრულ სამყაროში წაგიყვანს. აქ შეგიძლია ნახო კარლსონი, ემილი, მადიკენი და სხვა გმირები. ბოლო გაჩერება არის პეპის **ვილა** „ყიყლიყო“. ეს სამყარო ასტრიდის დაკვეთით მისი წიგნების მხატვარმა შექმნა. გზაში შეგიძლია ხმოვან ტექსტს მოუსმინო შენ მიერ არჩეულ ენაზე. შვედურ ენაზე კი მას თავად ასტრიდი კითხულობს.

იუნიბაკენში არის შვედეთის ყველაზე დიდი საბავშვო წიგნის მაღაზია. წიგნის გარდა მაღაზიაში იყიდება უამრავი ლამაზი ნივთი. აქვეა კაფე, სადაც პეპის **მაჭკატი** და კარლსონის ფუნთუშა ცხვება. დიდ სცენაზე კი ყოველ საღამოს იმართება **სპექტაკლი.**

იუნიბაკენი ადგილია, სადაც ცდილობენ ბავშვს წიგნი და კითხვა შეაყვარონ. ადგილი, რომელიც ერთხელ მაინც უნდა ნახო.

კომპონენტი: შეჯამება, დონე: 3.2

წარმოიდგინე, როგორია ზღაპრის მუზეუმი? რა მოგეწონა ყველაზე ძალიან?

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 იუნიბაკენი არის:

ა) ზღაპრის მუზეუმი შვედეთის დედაქალაქში.

ბ) საბავშვო წიგნების ცნობილი მაღაზია.

გ) ქალაქი, სადაც ლინდგრენი გაიზარდა.

2 იუნიბაკენის შესასვლელში ასტრიდის ძეგლი დგას, რადგან:

ა) მუზეუმი ასტრიდის მშობლიურ ქალაქ ვიმერბიუს ეძღვნება.

ბ) მუზეუმი ასტრიდ ლინდგრენის წიგნების მხატვარს ეძღვნება.

გ) მუზეუმი ძირითადად მწერალ ასტრიდ ლინდგრენს ეძღვნება.

3 როგორ ეცნობიან ბავშვები ასტრიდის ზღაპრულ სამყაროს?

ა) ისინი ასტრიდის გმირებს მატარებლით სტუმრობენ.

ბ) ისინი ასტრიდის მიერ წაკითხულ ტექსტს ისმენენ.

გ) ისინი დიდ საბავშვო მაღაზიას ათვალიერებენ.

4 ტექსტის მიხედვით, ყველაზე მთავარი ის არის, რომ იუნიბაკენში ცდილობენ:

ა) ბავშვებმა ასტრიდის ბოლო ტექსტი მოისმინონ.

ბ) ბავშვებმა მუზეუმის ემბლემა დაიმახსოვრონ.

გ) ბავშვებმა წიგნების კითხვა შეიყვარონ.

5 რა <u>არ ჩანს</u> ტექსტში?

ა) რა მიზნით გაიხსნა იუნიბაკენში მუზეუმი.

ბ) რა მიზნით გაიხსნა იუნიბაკენში წიგნების მაღაზია.

გ) რა მიზნით შეირჩა მუზეუმისთვის სტოკჰოლმი.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. აქ ქალაქის **ცენტრია.**

   ა) ბოლოა. გ) გარეუბანია. დ) შუაგულია.

2. პეპის **ვილას** „ყიყლიყო“ ერქვა. აქ **ვილა** ნიშნავს:

   ა) სახლს მოედანზე. ა) სახლს ქალაქგარეთ. გ) მაღალ სახლს.

3. წელიწადში უამრავი **სპექტაკლი** იმართება.

   ა) თეატრალური წარმოდგენა.

   ბ) ნახატების გამოფენა.

   გ) ხმოვანი ტექსტის მოსმენა.

2 წაიკითხე წინადადებები. შეაერთე ხაზებით ქვემოთ ჩამოთვლილი სიტყვები და მათი მნიშვნელობები.

1. მუზეუმის **ემბლემა** ქოლგიანი პატარა გოგოა.
2. რესტორანში შეგიძლია **მაჭკატი** გასინჯო.
3. ეს სადგურის **მაკეტია.**

ემბლემა	ერბოში შებრაწული პატარა თხელი ლავაში.
მაჭკატი	საგნის, ნაგებობის მცირე ზომის ნიმუში, მოდელი.
მაკეტი	რაღაცის პირობითი ნიშანი, სიმბოლო.

▶▶▶ გრამატიკა

1 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

1. ასტრიდის სახლი რომ ნახო, ---------- ჯერ სადგურში უნდა მიხვიდე.

   (ამიტომ / ამისათვის)

2. ეს არის ადგილი, ---------- ცდილობენ ბავშვებს კითხვა შეაყვარონ.

   (სადაც / როდესაც)

გრამატიკა

2 წინადადებებში გამოტოვებული სიტყვები დაწერე სწორი ფორმით.

1. შვედეთში (*ზღაპარი*) ---------- ულამაზესი მუზეუმია.
2. შესასვლელი ქალაქის (*მოედანი*) ---------- მსგავსია.
3. ლინდგრენის მუზეუმი 8 (*ივნისი*) ---------- გაიხსნა.
4. მუზეუმი (*შვედი*) ---------- საბავშვო მწერლებს ეძღვნება.

3 სწორად შეარჩიე სიტყვები.

1. შვედი ---------- **(მწერალი / ზღაპარი)**
2. შვედური ---------- **(მხატვარი / სპექტაკლი)**

წერა

1 დაწერე მოკლე ტექსტი „იუნიბაკენი“. ამისათვის გამოიყენე მხოლოდ ტექსტის გააზრებისთვის დასმული ოთხი კითხვა და შესაბამისი სწორი პასუხები.

მაგალითად:

იუნიბაკენი არის ----------

---------- *(წინადადება დაასრულე პირველი კითხვის პასუხის მიხედვით).*

---

2 წარმოიდგინე, რომ შენ მოინახულე იუნიბაკენის მუზეუმი. მისწერე მეგობარს წერილი, რომელშიც უამბობ ნანახის შესახებ. შენი ნამუშევარი გააფორმე ნახატებით.